



№ 29/CIRC/MSD

15 / დეკემბერი / 2020 წ.

ყველა დაინტერესებულ მხარეებს

**საკითხი: თევზმჭერი და თევზმზიდი გემების მოძრაობა საქართველოს ნავსადგურების მოძრაობის გამყოფ სისტემებში**

**სამართლებრივი აქტები:**

- საქართველოს საზღვაო კოდექსი
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 13 თებერვლის დადგენილება №78 „საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის რეჟიმისა და ნაოსნობის წესების დადგენის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №019 „ნავსადგურის წესების“ დამტკიცების შესახებ

წინამდებარე ცირკულარის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) თევზსაჭერი გემი - ნებისმიერი გემი, რომელიც გამოიყენება თევზჭერისა და სხვა სახეობის საზღვაო რეწვისათვის. რეწვის იარაღი არის თევზსაჭერი გემის განუყოფელი ნაწილი;

ბ) თევზსარეწი გემი – არის მცურავი საშუალება, რომელიც ახორციელებს თევზის ან/და ზღვის პროდუქტების დამუშავებას და სხვადასხვა პროდუქციის გამოშვებას;

გ) თევზის ნედლეულისა და რეწვის პროდუქციის სატრანსპორტო გემი – არის მცურავი საშუალება, რომელიც თევზსაჭერი ან/და თევზსარეწი გემებიდან, ზღვაში ან/და ნავსადგურში იღებს თევზის ნედლეულსა თუ პროდუქციას და ეწევა ტრანსპორტირებას თევზჭერის საზღვაო რაიონებიდან ნავსადგურებში ან ერთი სახელმწიფოს თევზჭერის რაიონიდან, მეორე სახელმწიფოს ნავსადგურებში.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 13 თებერვლის დადგენილება №78 „საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის რეჟიმისა და ნაოსნობის წესების დადგენის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ადგენს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მოძრაობის გამყოფ სისტემების საზღვრებს, მოძრაობის მიმართულებებს და ამ სისტემებში გემების ნაოსნობის წესებს.


დადგენილების მიხედვით ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების შესასვლელებში მოქმედებს მოძრაობის გამყოფი სისტემა, რომლის ძირითადი დანიშნულებაა აღნიშნულ მონაკვეთებში გემების მოძრაობის მონეხვა, ასევე ნავსადგურში შემსვლელი და გამომსვლელი გემების შემხვედრი კურსებით მოძრაობის თავიდან აცილება.

გემები, რომლებიც მიემართებიან ღია ზღვიდან ნავსადგურების შესასვლელი ფარვატერისაკენ და გემები, რომლებიც ტოვებენ ნავსადგურების შესასვლელ ფარვატერებს და მიემართებიან ღია ზღვისკენ, ვალდებული არიან იმოძრაონ მოძრაობის გამყოფი სისტემის შესაბამის სამოძრაო ზოლში.

დადგენილება უშვებს გამონაკლის შემთხვევებს, როცა გემი უფლებამოსილია გადაკვეთოს მოძრაობის გამყოფი სისტემა, ან იმოძრაოს გამყოფი სისტემის გვერდით ავლით. დადგენილების მიხედვით (მუხლი 6, პ.4,5; მუხლი 8, პ.4,5) აღნიშნული გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის ცენტრთან (VTS) შეთანხმებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებში შემაჯავალ/გამომავალ თევზსაჭერ/ თევზსარენ/თევზის ნედლეულისა და რენვის პროდუქციის სატრანსპორტო გემებს შეუძლიათ იმოძრაონ მოძრაობის გამყოფი სისტემის გვერდის ავლით, თუ ამდაგვარი მოძრაობა შეთანხმებულია VTS-სთან, ხელს არ უშლის გამყოფ სისტემაში მყოფი გემების უსაფრთხო ნაოსნობას და გემი მთლიანად სცილდება მოძრაობის გამყოფი სისტემის ფარგლებს.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს  
დირექტორი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელემტრონულად 

თამარ იოსელიანი

